სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №30
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. მცხეთა 10 აპრილი 2019 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი ,,საქპატენტი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ვლადიმერ სიხარულიძის სახით, (მოქმედი სსიპ „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2013 წლის სამი იანვრის №04 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე) და მეორეს მხრივ, შპს „მცხეთა დეველოპმენტი“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ დავლიანიძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 ,,საქონელი” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი დასახელების საქონლის შესყიდვა, კერძოდ:

- 11066 ალპინა ინტერიერის ნაცადი 15ლ (CPV-44111400), რაოდენობა: 1 ცალი, ფასი: 87.00 ლარი.
- 50982 Auto-parts Glue ავტონაწილების (პლასტმასის) წებო (CPV-24910000), რაოდენობა: 1 ცალი, ფასი:4.00 ლარი.
- 15060 კოლორექსი 100მლ # 60 (CPV-44111400), რაოდენობა: 1 ცალი, ფასი: 2.80 ლარი.
- 10321 კოლორექსი 100მლ # 90 (CPV-44111400), რაოდენობა: 1 ცალი, ფასი: 2.80 ლარი.
- 59703 10 სმ დაბალბეწვიანი ლილვაკის ბალიში ლაქებისათვის 0120-38301 (CPV-39224210), რაოდენობა: 3 ცალი, ერთეულის ფასია: 3.50 ლარი, სულ: 10.50 ლარი.
- 20014 ელ. დამცველის ყუთი 2-ნი მისადგმელი (CPV-44619100), რაოდენობა: 1 ცალი, ფასი: 5.00 ლარი.
- 50582 ხამუთი მეტალის 44-64 მმ (OTIENT) (CPV-44530000), რაოდენობა: 4 ცალი, ერთეულის ფასია: 0.70 ლარი, სულ: 2.80 ლარი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

3.1.2. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება).

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

3.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.4.1. გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

4. საქონლის მიწოდებისა და მიღება-ჩაბარების პირობები

მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 13 აპრილამდე, მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №82ა.

4.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: ბ. მანჯგალაძე (ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი).

5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

5.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **114.90 (ასთოთხმეტი ლარი და 90 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

5.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

6.2.1. მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი;

6.2.2. სასაქონლო ზედნადები;

6.2.3. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, 6.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არაჯეროვნად შესრულება ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 10%-ის ოდენობით, რომლის გადახდაც მოხდება შემსყიდველის მიერ დასაბუთებული წერილობით მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

7.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან

არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

7.5. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მათ მიერ ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 7.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

8.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა).

8.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების და მისი აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ.

8.4. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

8.5. მხარეები ანახლებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულბების შესრულებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 მაისამდე.

11.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლიარი მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს).

13.2. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე პირს.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუნქტის ან/და დებულების ბათილობა ან/და ძალდაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთ-
რების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“
მისამართი: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5
საიდენტიფიკაციო კოდი: 203831363
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. № 707807132

_____

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
ვლადიმერ სიხარულიძე

მიმწოდებელი

შპს „მცხეთა დეველოპმენტი“
მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №82ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 436255124
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №GE07BG 0000 0001 0120 9902

_____

დირექტორი
ავთანდილ დავლიანიძე